# ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის მუშაკებო! გააუმჯობესეთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, უფრო აქტიურად დანერგეთ ფიზიკური კულტურა საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№74 (5104)

1974 წ. 14 აპრილი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


## რამდენიმე სტრიქონით

✦ ადიგენი

„კოლმეურნის" რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში უდეს კოლმეურნეობის ნაკრებმა მოიგო. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ნ. მამულაშვილმა, რ. ბალახაშვილმა, ნ. აბულაძემ (ყველა — უდე), ვ. თათეშვილმა (არალი), გ. ლობჟანიძემ (მოხე), ა. ალობაშვილმა, ე. ალემაშვილმა (ორივე — უდე), თ. ნადირაძემ (არალი), გ. მერაბიშვილმა (უდე).

ნ. მამულაშვილი.

## ჩემპიონის შეცვლა

მოსკოვში 12 აპრილს ცსკა-ს ფრენბურთელმა ქალებმა სსრ კავშირის 36-ე პირველობის მატჩი მოუგეს ვოროშილოვგრადის „ისკრას" (3:2) და მეხუთედ გახდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები.

შარშანდელი ჩემპიონი — მოსკოვის „დინამო" II ადგილზე დარჩა. ბოლო დღეს მან მოუგო ბაქოს „ნეფთჩის" — 3:1. III ადგილზეა „ისკრა".

დასკვნითი დღის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: სამედიცინო ინსტიტუტი (ოდესა) — „ავტომობილისტი" (ტაშკენტი) 3:0, „ურალოჩკა" (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 3:2, „ბურევესტნიკი" (კიევი) — „ავტომობილისტი" (დონეცკი) 3:0.

ბოლო ადგილზე გასულ დონეცკის „ავტომობილისტს" უმაღლესი ლიგის დატოვება მოუწევს.

ცსკა მთელი ტურნირის მანძილზე სტაბილურად თამაშობდა. მან შესანიშნავად ჩაატარა ბოლო გადამწყვეტი შეხვედრა.

— ჩემპიონატის მონაწილე უკლებლივ ყველა გუნდში ვიხილეთ ნიჭიერი ახალგაზრდა ფრენბურთელები, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ბ. ლეონოვმა. — ეს, რა თქმა უნდა, გვახარებს, ვინაიდან ოქტომბერში მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატი იწყება. კარგი გუნდები შეიქმნა იმ ქალაქებშიც, რომლებიც აქამდე „საფრენბურთო რუკაზე" არ იყვნენ აღნიშნული.

სსრ კავშირის ქალთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად მაისში იაპონიაში გამოსვლას აპირებს.

ეს სურათი ლონდონის „ემპაირ პულის" („უემბლი") დარბაზში გადაღებული. „მორნინგ სტარის" ფოტოკორესპონდენტმა „ტანვარჯიშის მოცარტი" (ამ წარწერას ფოტოს ზემოთ ხედავთ), თბილისელი ქალიშვილი ნინა დრონოვა ვარჯიშის დროს გადაიღო საერთაშორისო შეჯიბრების წინ, რომელიც ამავე დარბაზში გაიმართა და ჩვენი სპორტსმენის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

გაზეთი წერს, რომ დრონოვაც და ვაუთა შორის გამარჯვებული, ასევე თბილისელი პაატა შამუგიაც ალბათ 1976 წლის ოლიმპიადის მედლებისთვის იბრძოლებენ.

'THE MOZART OF GYMNASTICS'



Nina Dronova, known in the Soviet Union as the "Mozart of gymnastics," in training yesterday for the Champions All international gymnastics tournament at the Empire Pool, Wembley, today. Nina, 17, comes from Tbilisi, Georgia, and could be the Olympic sensation of 1976. She is known as "little Mozart" because her talents were obvious at an early age and because of her amazing grace.

## „ტანვარჯიშის მოცარტი"

# ფალავანთა კლუბში ზეიმია

არაფერი სჯობს თბილისში ფალავანთა კლუბის ნახვას ამ დღეებში. ფუსფუსებს უამრავი მაყურებელი და მოჭიდავე, მწვრთნელები გულმოდგინედ ადევნებენ თვალს თავიანთი აღზრდილების გამოსვლებს. არბიტრები, რომელთა შორის ბევრი საკავშირო თუ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია, მკაცრი თვალით აფასებენ ყოველ მოძრაობას, ილეთს. დარბაზში საქმიანი ატმოსფეროა, ზუსტად ისეთი, როგორიც ნამდვილ რესპუბლიკურ ასპარეზობას შეშვენის.

საქართველოს პირადმა ჩემპიონატმა თავისუფალ ჭიდაობაში 180 ათლეტს მოუყარა თავი. მრავლის მნახველი ვეტერანების გულწრფელი აღიარებით, ასეთი რამ რესპუბლიკურ ჩემპიონატებს დიდი ხანია არ ახსოვს. ტურნირში გამოდიან თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები, აგრეთვე, ბევრი ახალგაზრდა მოჭიდავე საქართველოს რაიონებიდან.

ყველა მონაწილეს აქ, რა თქმა უნდა, არ ჩამოვთვლით, მაგრამ ზოგიერთის დასახელება აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ უფრო სწორად შევაფასოთ ამ შეჯიბრების ღირსება. რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვიან ნ. მოდებაძე და მ. ცხობილაძე, ა. ილურიძე და რ. დობორჯგინიძე, ი. ლეგაშვილი და გ. ხარებავა... იბრძვიან სხვა გამოცდილი ოსტატებიც, იბრძვიან ახალგაზრდებიც. არ გამოდიან მხოლოდ ლ. თედიაშვილი, (რომელიც ეს-ესაა დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან). ვ. მარშანია და ე. კიკაბიძე (მათაც აქვთ საპატიო მიზეზი — ავადმყოფობა).

პირველ წრეში მოულოდნელი არაფერი მომხდარა: ფავორიტებმა თითო ხაზიჯი გადადგეს ჩემპიონობისკენ. ახალგაზრდები მოურიდებლად უტევენ ვეტერანებს, დამარცხებულები კი ჯერ კიდევ რაღაც იმედს ებღაუჭებიან.

და მაინც, ერთი შეხვედრა სხვებზე მეტად უნდა გამოვყოთ. ესაა 74 კგ წონითი კატეგორიის ფავორიტთა — ა. ხოხაშვილისა და დ. მორგოშიას შერკინება. გამოცდილი და დაახლოებით თანაბარი ძალის მეტოქეებმა ვერაფერი მოუხერხეს ერთმანეთს და ბრძოლა ფრედ დამთავრდა ისე, რომ ქულა არც ერთს არ აუღია.

ჩვენ გვესმის, რომ სტარტზე ორივე მოჭიდავემ სიფრთხილე გამოიჩინა, რომ რაიმე გაუმართლებელი რისკი ამ შეხვედრაში საბედისწერო შეიძლება გამხდარიყო. მაგრამ ვიცით ისიც, რომ თანამედროვე ჭიდაობა ვერ ითმენს ასეთ პასიურ ბრძოლას. ხოხაშვილიცა და მორგოშიაც მაღალტექნიკური ოსტატები არიან და ამიტომ შევაჩერეთ მათზე ყურადღება. სწორედ ამ დუეტმა უნდა მისცეს ახალგაზრდებს ვაჟკაცური, აგრესიული ბრძოლის მაგალითი...

ჩემპიონატი დღეს მთავრდება.

ნ. ბუზუმაშვილი.

# ყველა მეტოქეს სძლიეს

ცხაკაიაში ერთ კვირას გაგრძელდა საქართველოს მოსწავლეთა და პიონერთა ტურნირი რუსულ შაშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ხუთი გუნდი, რომლებიც ორ-ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. თითოეულ გუნდში სამი ბიჭი და ერთი გოგონა იყო.

თავიდანვე დაწინაურდა ფოთის გუნდი (ოსტატობის კანდიდატი გ. კურდღელია, ვ. მიმინოშვილი, კ. შანიძე, ნინო ფაილოძე), რომელიც ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული. ფოთელებმა ყველა მეტოქეს სძლიეს: თბილისელებს — ანგარიშით 4,5:2,5, სოხუმის, ქუთაისისა და ცხაკაიას გუნდებს — ერთნაირი ანგარიშით — 7,5:0,5. მათი შედეგია 28,5 ქულა. აგვისტოში ფოთელები მონაწილეობას მიიღებენ „შაში-სასწაულის" საკავშირო გათამაშებაში, რომელიც ოდესაში ჩატარდება.

II ადგილი ხვდა თბილისის მე-100 საშუალო სკოლის გუნდს (19,5 ქულა), III — სოხუმის კოლექტივს — 16. შემდეგ ადგილებზე არიან ცხაკაიას და ქუთაისის წარმომადგენლები.

თავიანთ დაფებზე I ადგილები დაიკავეს: პირველზე — კურდღელიამ, მეორეზე — ა. გამხიტაშვილმა (თბილისი), მესამეზე — ვ. კარციანმა (სოხუმი), მეოთხეზე — ვ. ჩხეტიამ (ცხაკაია). ქების ღირსია მოშაშე მაია მოსიძე (თბილისი), რომელსაც შეხვედრა არ წაუგია.

შეჯიბრების საზეიმო დახურვაზე ცხაკაიას რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ჩიქობავამ გამარჯვებულთ ჯილდოები და საჩუქრები გადასცა.

გ. ჩერკაშინი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

# ასეთი მანქანებით შორს ვერ წავალთ

საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილების განაწილებისას, ისევე როგორც IV სპარტაკიადის დროს, მხედველობაში სპორტის ტექნიკურ სახეობებში მოპოვებული ქულებიც მიიღება.

1967 წლის სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის წარმატებაში (V ადგილი) საქართველოს დოსააფელებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ცხადია, სპორტის ტექნიკური სახეობების წარმომადგენლებისგან საგაისოდ უფრო მეტს მოითხოვენ, რათა 1971 წლის ხალხთა სპარტაკიადაში დაკარგული პოზიციები როგორმე დავიბრუნოთ.

საქართველოს დოსააფის ცენტრალურ კომიტეტს ეს ამოცანა შესანიშნავად აქვს შეგნებული და ხალხთა მორიგი სპარტაკიადისთვის მზადებაც ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო: სპორტის ტექნიკური სახეობების განვითარებაში შემჩნეული ნაკლოვანებების გამოსწორებისთვის, ნაკრები გუნდების დროულად დაკომპლექტებისთვის, წვრთნისა და ტექნიკური პირობების შექმნისთვის შარშან სათანადო ღონისძიებანი დაისახა. წლეულს კი თანდათან შემოწმდება, თუ როგორ სრულდება ცალკეული სახეობების განვითარების პროგრამა.

ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი გახლდათ მცირელიტრაჟიანი მანქანებით (კარტინგი) ამას წინათ თბილისის ზღვის მიდამოებში გამართული რესპუბლიკური შეჯიბრება თბილისის პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობდა თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, მახარაძის, თელავის, აგრეთვე სხვა ქალაქებისა და რაიონების ავტო-მოტო და სპორტტექნიკური კლუბების 11 გუნდი. თბილისს ერევნელი მრბოლელებიც ეწვივნენ. სულ სტარტზე 66 სპორტსმენი გამოვიდა. მართალია, მათი კვალიფიკაცია მაინცდამაინც მაღალი არ იყო (მონაწილეთა შორის მხოლოდ 3 სპორტის ოსტატი, 5 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 7 პირველთანრიგოსანი გახლდათ), მაგრამ ბრძოლა მაინც იმდენად უშეღავათო გამოდგა, რომ სპორტის ოსტატებმა, მათ შორის სსრ კავშირის ნაკრების წევრმა რ. აკოფოვმაც (თბილისი), ვერც ერთი კლასის მანქანებით რბოლა ვერ მოიგეს, ასპარეზობა კი სამი კლასის მანქანებით ჩატარდა: მოზარდებს 50 და 125 კბ სმ მოცულობისძრავიანი კარტინგებით 6 წრე—ცდებს შორის გარკვეული ინტერვალით — სამჯერ უნდა შემოევლოთ, უფროსებს 125-და 175-ანებით ამდენივე ცდის უფლება ეძლეოდათ, ოღონდ ყოველ ცდაზე დისტანცია მათთვის ორჯერ უფრო გრძელი იყო.

ასპარეზობას მასობრიობის მხრივ ვერ ვუსაყვედურებთ, შეჯიბრებაც კარგად იყო მოწყობილი. ეს მოწმობს, რომ საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტი სპორტის ტექნიკური სახეობების განვითარებისთვის მარტო თბილისსა და რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებში კი არა, რაიონებშიც სათანადო ყურადღებას უთმობს.

ეს ზრუნვა უპასუხოდ არ დარჩენილა. ამ შეჯიბრებაში, მაგალითად, საერთო გუნდურ ჩათვლაში სწორედ პერიფერიების წარმომადგენლებმა ისახელეს თავი — მათ თბილისელი სპორტსმენები, რომელთა რიგებში ორი სპორტის ოსტატი გამოდიოდა, აიძულეს VI ადგილს დასჯერებოდნენ (159 ქულა).

თითოეულ კოლექტივს ყველა კლასში (4 კლასი) თითო კაცი უნდა გამოეყვანა. გუნდი, რომელსაც ამა თუ იმ კლასში სპორტსმენი არ ჰყავდა, წინასწარ 20 ქულით ჯარიმდებოდა, რაც ასპარეზობის შემდეგ ამ კოლექტივის სხვა წევრების მიერ დაგროვილ ქულებს აკლდებოდა. ასე დაკარგა ხაშურის გუნდმა 40 ქულა.

საბოლოოდ გაიმარჯვა სამტრედიის კვარტეტმა, რომელმაც 247 ქულა მოაგროვა და 6 ქულით აჯობა რუსთავის გუნდს. III ადგილზეა მახარაძის რაიონის ნაკრები — 232.

თუმცა ასპარეზობა სანახაობრივად საინტერესოდ ჩატარდა, აშკარად ჩანდა, რომ ყველა მონაწილემ შეჯიბრებისთვის მანქანები სათანადოდ ვერ მოამზადა. ზოგიერთი სპორტსმენი ამის გამო ბრძოლას გამოეთიშა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მაგალითად, 125-ანებით შეჯიბრების ერთ-ერთი ცდა 18 ვაჟში რვამ დაამთავრა. ასეთ გამოცდილ ოსტატსაც კი, როგორიც რ. აკოფოვია (იგი 175-ანებშიც ცდილა ძალას), ექვსიდან არც ერთი ცდა არ დაუმთავრებია. პირად ჩათვლაში მოასპარეზე თბილისელმა სპორტის ოსტატმა ო. ხარაძემ 175-ანებით რბოლაში, მართალია, ერთი ცდა მოიგო, მაგრამ ორი ცდა დაუმთავრებელი დარჩა და საბოლოოდ შრომამ აშაოდ ჩაუარა. ასეთივე ბედი ეწია თბილისელ სპორტის ოსტატობის კანდიდატს ა. წერუაშვილს და თბილისელ პირველთანრიგოსანს რ. ხიდეშელს. ისინი საქართველოს ნაკრების წევრები არიან და ამგვარი შეცდომები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დღეებში რომ მოუვიდეთ, მთელი წლის მეცადინეობა წყალში ჩაყრილი აღმოჩნდება, რესპუბლიკა კი მნიშვნელოვან ქულებს დაკარგავს.

შეჯიბრებისთვის ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა თბილისელი მეორეთანრიგოსანი ჭაბუკი რ. ვასაძე, რომელიც 50 კბ სმ-ის მანქანით ასპარეზობდა. რამაზი ერთადერთი სპორტსმენი იყო, რომელმაც ზედიზედ ორი ცდის მოგებით გამარჯვება ვადამდე მოიპოვა და მესამე ცდის დროს მთელი ძალით აღარ იბრძოდა. აჰან ქუთაისელ ჭაბუკს გ. შაფათავას, რომელმაც ორივე ცდა მხოლოდ ვასაძესთან წააგო, საშუალება მისცა მესამე ცდის ფინიშთან ყველაზე ადრე მისულიყო და საერთო II ადგილიც დაესაკუთრებინა. III ადგილი ბათუმელ რ. ოხიკიანს ხვდა.

რუსთაველ ნ. ჩვანოვს სპორტის ამ სახეობაში მხოლოდ ჭაბუკთა II თანრიგი აქვს. 125 კბ სმ მოცულობისძრავიანი კარტინგებით რბოლაში გამარჯვებისთვის მას ბევრი უფრო კვალიფიციური სპორტსმენი ებრძოდა, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. პირველ ცდაზე მისი დამარცხება მხოლოდ თბილისელმა მეორეთანრიგოსანმა ნ. კულუმბეგოვმა შეძლო. მომდევნო ცდები ჩვანოვმა მოიგო და 2 საჯარიმო ქულით პირველობა მოიპოვა. კულუმბეგოვს თანაქალაქელმა მეორეთანრიგოსანმა თ. გოგიშვილმაც აჯობა (5 საჯარიმო) და სამტრედიელმა ფ. ოჩიგავამაც — 6.

125-ანებით შეჯიბრებაში უფროსთა შორის გადამწყვეტი ცდის წინ ლიდერობდა რუსთაველი მეორეთანრიგოსანი ა. ლებედინსკი, რომელსაც 3 საჯარიმო ქულა ჰქონდა, მის უახლოეს მეტოქეს, სამტრედიელ მეორეთანრიგოსანს ვ. სიტნიკს კი 5 ქულა აღმოაჩნდა. ბოლო ცდაზე ლებედინსკი IV ადგილს დასჯერდა, სიტნიკმა კი I ადგილი დაიკავა. ამრიგად, ორი საუკეთესო ცდის ჯამში ორივეს 3-3 საჯარიმო ქულა დაუგროვდა, მაგრამ, ვინაიდან სამტრედიელს ბოლო ცდაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა, საერთო I ადგილი მისი საკუთრება გახდა. III ადგილზეა მახარაძელი ი. ძველაია — 7 საჯარიმო ქულა.

175-ანებით რბოლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ვ. გრინენკო (ერევანი), 2. ხ. აჯიანცი (ცქალავი), 3. რ. მინოსიანი (სოხუმი).

**ო. გელაშვილი.**

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

---

საქდესი მოგვითხრობს

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### კომკავშირული ხელმძღვანელები და მშდ კომპლექსი

ესტონეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის ფიზკულტურელთა გუნდმა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად გამართულ შეჯიბრებაში სულ 8 ქულით აჯობა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ნარვა-იიესუუს სასწავლო-დასასვენებელი ბაზის კოლექტივს და დაიმსახურა სპეციალური პრიზი — სასაცილო სათამაშო დათუნია ოტი.

მონაწილენი მშდ კომპლექსის ოთხი საფეხურის ნორმატივებს აბარებდნენ მძლეოსნურ მოედნებზე, ტირში, საცურაო აუზში. სპორტული ბრძოლის სიმძაფრემ განაპირობა ის ამბავი, რომ ბევრი შედეგი კომპლექსის ნორმატივებზე მაღალი იყო. მაგალითად, ბაზის თანამშრომელი ტამბეტ უუზენი 541 სმ სიგრძეზე გადახტა, ხოლო ბირთვი 10,89 მეტრზე ჰკრა. თავი გამოიჩინა მისმა მეუღლემაც — ბაზის დირექტორის მოადგილემ რიინა უუზენმა.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაკებში გამოირჩეოდნენ კომიტეტის მდივანი მ. ლეოსკი, განყოფილების გამგე ქ. ლეხმუსი, ინსტრუქტორი ლ. ლიივაკი, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ტოომე და მეორე მდივანი ე. დორონინი. ნორმატივები ჩააბარეს მშდ კომპლექსის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ი. კაარმამ, ესტონეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატისა და ნარვა-იიესუუს ბაზის ყველა თანამშრომელმა.

შეჯიბრების დასასრულს შეკრების მონაწილეებმა მოაწყვეს ლაშქრობა სოფელ მერიკიულაში, სადაც დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა ჯარებმა დესანტი გადასხეს.

**მ. იუოვი.**

ტალინი.

### მარათონი ეთერში

შეჯიბრების პირობები იოლი არ იყო: ხუთ წუთს დუმილისთვის გუნდი ბრძოლას ეთიშებოდა. ამიტომ მონაწილეებმა ვალდებულებები გაინაწილეს. დასვენებისთვის არც ერთი წუთი არ იყო გამოყოფილი...

... ახალგაზრდა სპორტსმენ-მოკლეტალღოსანთა ეს სამეული დიდი ხანია გატაცებულია რადიოელექტრონიკით. ჯერ კიდევ მოსწავლეები იყვნენ, სუმის რადიოკლუბში პირველი მარტივი მიმღებები რომ ააწყვეს. აქვე შეიძინეს აუცილებელი ცოდნა, რაც შემდეგ არმიაში სამსახურის დროს გამოადგათ.

არმიიდან დაბრუნებულმა ჭაბუკებმა სამუდამოდ დაუკავშირეს თავიანთი ცხოვრება რადიოსაქმეს. იგორ მოხოვი რადიოაპარატურის მემონტაჟედ მუშაობს ელექტრული მიკროსკოპების ქარხანაში და თან დაუსწრებლად სწავლობს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რადიოელექტრონიკის ფაკულტეტზე. პავლე პავლენკო იმავე ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორია. ვიაჩესლავ კომარნიცკი თავის ცოდნას და გამოცდილებას მეცნიერულ კვლევა-ძიებაში იყენებს.

მეგობრებს ხშირად შეხვდებით რადიოკლუბში. სუმელმა რადისტებმა მათი დახმარებით ბევრი ხელსაწყო გააკეთეს. ბოლო რესპუბლიკური შეჯიბრებისთვის მეგობრებმა დაამზადეს ანტენური მოწყობილობა, რომელიც სიგნალების ზუსტ მიღებას უზრუნველყოფს. ისინი ახალბედებსაც ეხმარებიან, აღმზრდელობით მუშაობასაც ეწევიან ეთერის გამჭუჭყიანებელთა შორის.

... რვასაათიანი რადიომარათონი მთავრდება. კომარნიცკის ჟურნალში ბოლო შენიშვნები შეაქვს. მოხოვი მას ეკითხება:

— რა შედეგი?

— 360 კავშირი ქვეყნის 111 ოლქთან.

პავლენკო ცნობარს ფურცლავს და ადგენს, რომ სულ 1170 ქულა დაუგროვებიათ. ეს სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმატივზე უკეთესი შედეგია.

**ვ. შეველიოვი.**

სუმი.

---

## მთავარი ჯილდო „განთიადს“ დარჩა

კალათბურთელთა ტურნირი, რომელიც ამ დღეებში კასპის სპორტულ დარბაზში ჩატარდა, მიეძღვნა მსოფლიოში პირველი მფრინავი კოსმონავტის ი. გაგარინის დაბადების 40 წლისთავსა და კოსმონავტიკის დღეს.

ასპარეზობის მთავარი ჯილდო ი. გაგარინის სახელობის გარდამავალი თასი იყო. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს სპორტსაზოგადოებათა ნაკრებმა გუნდებმა.

I ადგილი და თასი „განთიადის“ კალათბურთელებმა მოიგეს. II ადგილზეა „კოლმეურნის“ გუნდი, ხოლო III — „სპარტაკის“ ნაკრები.

**ლ. ელისაბედაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

კასპი.

---

## ჩოგბურთი

### პრიზიორები

წინა ნომერში ვიტყობინებოდით ევროპის ჩემპიონატში (ნოვი-სადი), მაგიდის ჩოგბურთის მოსკოველი ოსტატების ზ. რუდნოვასა და ს. გომოზკოვის ბრწყინვალე წარმატების ამბავს. მათ შერეულ წყვილთა ფინალურ მატჩში სძლიეს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს ა. გროფოვას და მ. ორლოვსკის.

ბრინჯაოს ჯილდოები ხვდათ მსოფლიოს 1971 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებს მ. ალექსანდრუს (რუმინეთი) და ანტონ სტიპანჩიჩს (იუგოსლავია), რომლებმაც ნახევარფინალში რუდნოვასთან და გომოზკოვთან დაყარეს ფარ-ხმალი — 21:8, 20:22, 24:22, 21:23, 18:21.

ბრინჯაო ხვდათ, აგრეთვე, ფრანგ ჩოგბურთელებს კლოდ ბერჟერეს და ჟაკ სეკრეტენს. ისინი ნახევარფინალში ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებთან დამარცხდნენ — 15:21, 11:21, 17:21.

---

# ტრიო გუნდური და პირადი

ჩვენში გამართულ არც ერთ მრავალდღიან ველორბოლას არ ახსოვს ასეთი მძაფრი და საინტერესო ფინალი. თბილისის ოთხდღიანი ტური უმთავრესად სამი კოლექტივის — „სპარტაკის“, „დინამოს“ და „ბურევესტნიკის“ უპირატესობით აღინიშნა. ეს გუნდები მუდამ ერთმანეთის მთავარ კონკურენტებად ითვლებოდნენ, მაგრამ წლევანდელ ასპარეზობაში მათი ჭიდილი მართლაც ამაღელვებელი გამოდგა.

ყოველ ეტაპზე იცვლებოდა ლიდერთა განლაგება. იცვლებოდა მთავარი პრიზისთვის მებრძოლი გუნდების შანსები, მაგრამ არსებითად ამ ტრიოს ვერც ერთი სხვა კოლექტივი ვერ მიუახლოვდა. ოთხი ეტაპის შედეგების შეჯამებისას გამოირკვა, რომ „სპარტაკმა“ მხოლოდ 1 წამით აჯობა „დინამოს“. გუნდურ შეჯიბრებაში ასეთი მიკროსკოპული უპირატესობა იშვიათია.

გუნდური ასპარეზობის სიმძაფრე პირადი პირველობისთვის მებრძოლებსაც გადაედოთ და აქაც ბევრი მოულოდნელი რამ მოხდა. მაგალითად, დინამოელი ვ. ფეტისოვი სამი ეტაპის ჯამში უახლოეს მეტოქეებს 7 წუთზე მეტს უგებდა. 7 წუთი დიდი ფორაა სპორტსმენისთვის, რომელიც ჩინებულ ფორმაშია და რომელსაც მთავარ ფინიშამდე ერთი ეტაპი აქვს დარჩენილი.

მაგრამ ეს ერთი ბოლო ეტაპი (თბილისი—საგარეჯო—თბილისი) ლიდერისთვის საბედისწერო გამოდგა. IV ეტაპზე მან, როგორც ჩანს, ვერ გაანაწილა ძალები, სრულიად მოულოდნელად ჩამოსცილდა მთავარ მოვლენებს და, როცა რბოლა დამთავრდა, ლიდერთა სამეულშიც ვერ მოხვდა.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ თბილისის ოთხდღიან ველორბოლაში უკონკურსოდ ასპარეზობდნენ პოლონელი ველოსიპედისტები. ისინი საგზატკეცილო რბოლის სპეციალისტები არ არიან — ტრეკზე ვარჯიშობენ, მაგრამ ამ შეჯიბრებაში ხალისით გამოვიდნენ, ვინაიდან წვრთნისთვის უკეთეს საშუალებას ვერც ინატრებდნენ. სწორედ პოლონელთა მონაწილეობამ (სტუმრების გუნდში გამოდიოდა მსოფლიო ჩემპიონი გიტში ი. კემკოვსკი) საგრძნობლად გამოაცოცხლა რბოლა და ჩვენი სპორტსმენების ზოგიერთი ნაკლიც თვალნათლივ დაგვანახა.

ახლა, როცა რბოლა დამთავრდა, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ თბილისის ველოსიპედისტთა ძირითად ჯგუფს ტაქტიკური და ტექნიკური მომზადების დონით ერთი ორად აღემატება ვ. ფეტისოვ—ა. ცხოვრებაძე—ი. რთველიაშვილის ტრიო. ამ სამეულს შესწევს ძალა თავისუფლად გაუმკლავდეს ნებისმიერ მეტოქეს. დანარჩენებს? დანარჩენებს ჯერ კიდევ აშკარად აკლიათ ტექნიკურ-ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება.

III ეტაპი (თბილისი—ბოლნისი—თბილისი) ფეტისოვმა მოიგო — 2:38.12. II ადგილზე გავიდა დინამოელი ცხოვრებაძე (2:38,32), III — სპარტაკელი ა. ხახიაური (2:38.33).

გუნდურ ჩათვლაში ეტაპი „დინამომ“ მოიგო.

IV ეტაპზე პრიზიორთა სამეული ასეთია: 1. ცხოვრებაძე — 2:16,07, 2. რთველიაშვილი („სპარტაკი“) — 2:16,08, 3. პ. სტეცენკო („შრომითი რეზერვები“) — 2:18.23.

ოთხი ეტაპის ჯამში თბილისის მრავალდღიანი ველორბოლა რთველიაშვილმა მოიგო. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან ცხოვრებაძე და ბურევესტნიკელი დ. კობაიძე.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. „სპარტაკი“ — 26:22.18, 2. „დინამო“ — 26:22,19, 3. „ბურევესტნიკი“ — 26:35.57.

**ნ. ახვლედიანი.**

XXVI

დაიწყო სსრ კავშირის XXXVI საფეხბურთო ჩემპიონატი. წინაა ხანგრძლივი სეზონი, საინტერესო ბრძოლები. 12 აპრილს სსრ კავშირის 8 ქალაქში გაიმართა ჩემპიონატის I ტურის მატჩები.

„ქაირათი“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (მოსკოვი) 2:1. ალმა-ათელებმა საუკეთესოდ ითამაშეს და დაამარცხეს ძლიერი მეტოქე. მოსკოველთა კარში ორივე ბურთი გაიტანა ჩებოტარიოვმა, ხოლო დინამოელთაგან — ბაიდაჩნიმ.

„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 1:1. ანგარიში ლენინგრადელმა ზინჩენკომ გახსნა, აბდურაიმოვმა კი თავისი გუნდი დამარცხებისგან იხსნა.

„არარატი“ (ერევანი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:1. გოლი, რომელმაც ტორპედოელებს გამარჯვება მოუტანა ჩემპიონთან შეხვედრაში, აბრამოვმა გაიტანა.

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:0. უშედეგოდ დამთავრებული პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლებმა გააძლიერეს თამაში და ორი „მშრალი“ ბურთი მოათავსეს დებიუტანტის კარში (სლობოდიანი, პორკუიანი).

„შახტიორი“ (დონეცკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 3:3 (პენალტებით, ძირითადი დრო — 0:0). დამატებითი პენალტების შემდეგ მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „დინამო“ (კიევი) 1:1. ამ მატჩში წინ იყვნენ მასპინძლები და კიეველებმა მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა. მოსკოველმა არბიტრმა ვ. ლიპატოვმა მინდვრიდან გააძევა „ზარიას“ მოთამაშე ნ პინჩუკი.

„კარპატი“ (ლვოვი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:1.

# მარცხიანი დასაწყისი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 12 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა 1:3 (0:2).

„დინამო“: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე (წერეთელი), მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

ცსკა: ასტაპოვსკი, უტკინი, კაპლიჩნი, ისტომინი, ბაბენკო, პლახეტკო, კოზლოვსკიხი, კოპეიკინი, ფედოტოვი, პაპაევი, სმირნოვი (შლაპაკი).

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

16 წელია თბილისის დინამოელებს არ წაუგიათ ჩემპიონატის პირველი მატჩი, რომელიც, როგორც წესი, შინ აქვთ ხოლმე, საკუთარ მინდორზე. გუნდი, ჩვეულებრივ, წარმატებით იღებს სტარტს, დასაწყისში აგროვებს ქულებს, გარკვეულ მარაგს იქმნის.

ახლა გამონაკლისი მოხდა: XXXVI პირველობა მარცხით დავიწყეთ, თანაც ერთ-ერთ მთავარ კონკურენტთან — მოსკოვის არმიელთა გუნდთან.

ცსკა, საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდის წარმომადგენელი, ბოლო წლებში ძალიან არასტაბილურად თამაშობს. იგი 1970 წელს ჩემპიონი იყო, მომდევნო სეზონი კი XII ადგილით დაამთავრა. შემდგომ, 1972 წელს მეხუთე იყო, შარშან კი X ადგილამდე ჩამოქვეითდა. წლეულს არმიელებმა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში ნალჩიკის „სპარტაკთან“ ძლივს გაიმარჯვეს ორი მატჩის ჯამში (0:0, 2:0), „დნეპრთან“ კი მერვედფინალში დამარცხდნენ (0:1). ცსკა-ს ეს ახლანდელი „საპასპორტო“ მონაცემები მოგვყავს არა იმიტომ, რომ თბილისის დინამოელებს დავაყვედროთ ასეთ მერყევ მეტოქესთან წაგება. პირიქით, თბილისში არმიელები ისე ძლიერად თამაშობდნენ, როგორც უწინ, წარმატებათა წლებში.

ჯერ ერთი, ბრწყინვალედ ითამაშა ასტაპოვსკიმ, რომელსაც მოსკოველთა გამარჯვებაში დიდი დამსახურება მიუძღვის. მან რამდენიმე თითქმის უიმედო ბურთი აიღო და მთელი მატჩის მანძილზე საქმის ცოდნით ხელმძღვანელობდა მცველთა თამაშს საჯარიმო მოედანზე.

ზუსტად, თითქმის უშეცდომოდ მოქმედებდა სტუმრების დაცვა. მაშინაც კი, როცა დინამოელები მთელი ძალით და ხანგრძლივად უტევდნენ, როცა ბურთი ასტაპოვსკის სიახლოვეს ტრიალებდა, მცველები არ დაბნეულან, არ დაუკარგავთ ტაქტიკური მთლიანობა და თბილისელთა თავდამსხმელები შეტევაზე მყოფ ნახევარმცველებთან ერთად წამითაც არ დაუტოვებიათ იმ პოზიციაში, საიდანაც შეუფერხებლად შეიძლება კარში დარტყმა.

შუა მინდორი უდავოდ არმიელთა კონტროლის ქვეშ იყო. აქ მათ უკეთ ჰქონდათ მოწესრიგებული ურთიერთმოქმედება, უფრო რაციონალურად ჰყავდათ განლაგებული ძალები მეტოქის შეტევის მოსაგერიებლად, მათი გრძელი გადაცემები დროზე და ზუსტად აღწევდა თავდამსხმელებთან კონტრიერიშის წამოსაწყებად. მაშინაც კი, როცა ანგარიში გახდა 2:0 ცსკა-ს სასარგებლოდ, ნახევარდაცვას არ შეუცვლია ტაქტიკა და არ დაუხევია ღრმა დაცვაში.

აგრესიულად, ინდივიდუალური და კოლექტიური თამაშის ზომიერი შერწყმით ითამაშეს თავდამსხმელებმა. იმ 3 გოლის გარდა, რომლებიც „დინამოს“ კარში გავიდა, კიდევ იყო ბურთის გატანის რეალური შანსი და ეს შესაძლებლობანი არმიელთა თავდამსხმელებმა მოფიქრებული, გეგმიანი თამაშით შექმნეს.

ერთი სიტყვით, ცსკა ამ მატჩში საჭირო სიმაღლეზე იდგა.

თბილისის დინამოელებზე ამას ვერ ვიტყვით. მათ მატჩი წააგეს არა რაიმე შემთხვევითი, მოულოდნელი მიზეზით, არამედ კანონზომიერად, თვით მატჩის მსვლელობის შესაბამისად, ბევრი შეცდომის გამო. მარცხის მთავარ მიზეზად ისევ და ისევ ის მიგვაჩნია, რომ ჩვენი გუნდი უაღრესად დიდ დროს, ძალას და ენერგიას ხარჯავს შუა მინდორში, ეს კი სრულიადაც არაა საჭირო და, თუ მოაქვს სარგებლობა, მხოლოდ მეტოქისთვის, რომელიც ამ დროის მანძილზე თავისუფლად ასწრებს დაცვის ორგანიზებას, ძალების გადაჯგუფებას. შუა მინდორში დაყოვნებული წამიც კი საშუალებას აძლევს დაცვაზე მყოფ გუნდს გადაკეტოს ყველა გზა კარისკენ, მოასწროს ხიფათის ლიკვიდირება.

შენიშვნები, რა თქმა უნდა, გვაქვს ცალკეულ მოთამაშეთა მიმართაც. ვერ გაამართლა იმედი ამ მატჩში მეკარე გაგოშიძემ, რომელიც დამნაშავეა პირველი და მესამე ბურთების გაშვებაში. ამ მატჩშიო ვამბობთ იმიტომ, რომ გაგოშიძემ კარგად ჩაატარა წლევანდელი საწვრთნელი შეხვედრები, შესანიშნავად ითამაშა ოდესაში, ახლა კი ვერ შეძლო თავისი მონაცემების გამოვლენა.

მაგრამ გაგოშიძე ახალგაზრდა მეკარეა და ეს ლაფსუსები შეიძლება ეპატიოს, აი, ის შეცდომები კი, რომლებიც მოსდიოდათ ჩვენს მცველებს, მაღალი კლასის ოსტატებს, გამოცდილ მებრძოლებს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ. ოთხივე ჩვენი მცველი ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ღებულობდა, კარგავდა კონტაქტს ერთმანეთთანაც და მეკარესთანაც, უმისამართოდ იგერიებდა ბურთს და საქმე ზოგჯერ ელემენტარულ შეცდომამდეც მიდიოდა: მეორე და მესამე გოლები იმის შედეგი იყო, რომ მცველებმა სრულიად გაუმართლებლად ჩააბარეს ბურთი მოწინააღმდეგეებს, კიდევ ორ-სამ მომენტში კი ბურთს გაგოშიძემ მიუსწრო, ან არმიელთა გადამწყვეტი დარტყმა არ გამოდგა ზუსტი.

ნახევარდაცვაში რიგიანად თამაშობდა მხოლოდ ასათიანი, რომლის მიმართ ბევრი პრეტენზია არა გვაქვს, მაგრამ მ. მაჩაიძე კი აშკარად ვერ იყო ფორმაში.

გ. მაჩაიძეს მაინცდამაინც არაფერი გაუფუჭებია, მაგრამ მისმა შეცვლამ წერეთლით, უდავოდ, საგრძნობლად გამოაცოცხლა დინამოელთა იერიშები. წერეთელი გამოსვლისთანავე აქტიურად ჩაერთო თამაშში და ზედიზედ შექმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი. ყიფიანთან ერთად მან გარკვეული დეზორგანიზაცია შეიტანა არმიელთა დაცვის რიგებში და, სათანადო მხარდაჭერა რომ ჰქონოდათ გუცაევისა და გ. ნოდიას მხრივ, ანგარიში შეიძლება სხვა ყოფილიყო. გუცაევს პარტნიორები ხშირად ტოვებენ გადაცემათა გარეშე და ისიც ურიგდება ასეთ იზოლაციას, არ ცდილობს აქტიურ ბრძოლას თავისი ფლანგის ფარგლებს გარეთ.

ცალკე გვინდა ვთქვათ გ. ნოდიას შესახებ. სადავო არაა, რომ ცენტრალურ თავდამსხმელს, გუნდის მთავარ ბომბარდირს, მეტი მოეთხოვება. ვთქვათ, გ. ნოდია არაა გამთამაშებელი მოთამაშე, კომბინაციების წამომწყები, მაგრამ მისი „სპეციალობა“ ხომ შეტევის დამთავრება და გოლის გატანაა, ამ მატჩში კი ჩვენი ცენტრფორვარდი ჩაიკეტა ცსკა-ს ტანმაღალ სტოპერებს შორის, ვერ მოუძებნა მათ გასაღები, არ იხსნებოდა დროზე და ბურთამდე უმთავრესად მაშინ აღწევდა, როცა იგი უკვე მოწინააღმდეგეს ჰქონდა.

არმიელებს დიდი სამსახური გაუწია მე-5 წუთზე ბაბენკოს მიერ გატანილმა გოლმა. ეს იყო მათი პირველი შეტევა, პირველი დარტყმა კარში და პირველი წარმატებაც. გუნდმა ირწმუნა თავისი ძალები, მაგრამ როცა 37-ე წუთზე კოპეიკინმა მოულოდნელი, უძლიერესი დარტყმით მეორედ აიძულა გაგოშიძე ბადიდან გამოეტანა ბურთი, ცსკა კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით ათამაშდა. უკვე 83-ე წუთზე ფედოტოვმა კიდევ ერთხელ აიღო დინამოელთა კარი და არმიელთა გამარჯვება რეალობად აქცია. აღსანიშნავია, რომ მოსკოველთა სამივე გოლი შორიდან იქნა გატანილი. ერთადერთი საპასუხო ბურთი გაიტანა ყიფიანმა 84-ე წუთზე მოპირდაპირე კართან შექმნილი არეულობის შემდეგ.

დინამოელებს, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ შესაძლებლობებზე სუსტად ითამაშეს, საკმაოდ ჰქონდათ მომენტები მდგომარეობის შესაცვლელად, მაგრამ ეს უკვე ჩვენი გუნდის სამწუხარო ტრადიციაა — ხელიდან გაუშვას საუკეთესო შესაძლებლობანი, საჩუქარი საჩუქარზე მიართვას მეტოქეს.

პირველი მატჩის წაგება ძალიან დასანანია, მაგრამ არა გვგონია, რომ ეს ფაქტი გვაძლევდეს საბოლოო პესიმისტური დასკვნების გამოტანის საბაბს. ცსკა-სთან დაშვებული შეცდომები უნდა გამოსწორდეს ახლავე, რათა გუნდმა სტარტზე დანაკარგი უახლოეს ტურებში აინაზღაუროს.

ბ. ქორქია.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: დ. ყიფიანი (მარცხნივ) და ვ. კაპლიჩნი ბურთისთვის ბრძოლის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.



12 აპრილს, თბილისის „დინამოს“ და ცსკა-ს მატჩის წინ გამართულ საკავშირო ჩემპიონატის გახსნისადმი მიძღვნილ აღლუმზე დიდი ფეხბურთიდან საზეიმო გაცილება მოუწყვეს სპორტის ოსტატებს გ. პეტრიაშვილსა და ს. კუტივაძეს.

ვეტერანებს გადასცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს საპატიო სიგელები, თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საჩუქრები. მათ გულთბილად მიესალმნენ თბილისის „დინამოს“ და ცსკა-ს ფეხბურთელები.

გ. პეტრიაშვილსა და ს. კუტივაძეს კარგად იცნობს ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა, ახსოვს მათი ოსტატური, ენერგიული, მონდომებული თამაში. ვუსურვებთ ორივე ჩვენს დამსახურებულ ფეხბურთელს ასეთივე სიმართლით და კეთილსინდისიერებით გამოიჩინონ თავი მომავალ პირად ცხოვრებაშიც და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: გ. პეტრიაშვილი (მარცხნივ) და ს. კუტივაძე გაცილების დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# თბილისს სჭირდება მეორე გუნდი

ამას წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო ფეხბურთის მოყვარულთა წერილი, რომელსაც ხელს აწერდნენ მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილი ადამიანები, შრომისა და სწავლის წარჩინებულნი, სპორტსმენები. ისინი გამოთქვამდნენ აზრს, რომ ისეთი მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქალაქს, როგორიც თბილისია, აუცილებლად ესაჭიროება მეორე გუნდი, რომელიც საკავშირო ასპარეზზე იბრძოლებს და საშუალებას მისცემს ჩვენს ნიჭიერ ჭაბუკებს, ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავიანთი ძალები სცადონ დიდ სარბიელზე. ეს გუნდი თავისებურ ბაზად უნდა იქცეს მომავალი ოსტატების აღსაზრდელად.

წერილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. თავისთავად ცხადია, მას მხარს უჭერენ თბილისის მკვიდრნი, რომელთათვისაც 15-18 მატჩის ნახვა სეზონის მანძილზე ერთობ პატარა ულუფაა. ამის თაობაზე რედაქციაში მრავლად მოდის სპორტის მოყვარულთა წერილები, მაგრამ მარტო თბილისელები როდი არიან დაინტერესებული ამ საკითხით. დღეს ვაქვეყნებთ ორ წერილს, რომელთა ავტორები ასევე მხურვალედ უჭერენ მხარს თბილისში მეორე გუნდის აღორძინების მოსურნეებს.

ადიგენის რაიონის სოფელ ფხერიდან მოვიდა წერილი გ. ოზილაძის ხელმოწერით: „ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რაოდენ საჭიროა თბილისში მაღალი კლასის მეორე გუნდი, რომელიც თავს მოუყრის ახალგაზრდა, ნიჭიერ, პერსპექტიულ ფეხბურთელებს, მოამზადებს მათ დიდი სარბიელისთვის.

ჩვენ, სოფლის მშრომელები, მხარს ვუჭერთ წინადადებას, რომ დედაქალაქში შეიქმნას ოსტატთა ისეთი გუნდი, როგორიც ერთ დროს გვყავდა „ლოკომოტივის“, „სპარტაკის“, არმიელთა კოლექტივისა და სხვათა სახით“.

გვწერენ საბჭოთა არმიის რიგებში მყოფი ქართველი მეომრებიც, რომლებიც ახლა სავალდებულო სამსახურს გადიან კალინინგრადის ოლქში.

„წავიკითხეთ „ლელოს“ 12 მარტის ნომერში გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი თბილისში ოსტატთა მეორე გუნდის შექმნის შესახებ. მივესალმებით ამ იდეას, ვუერთდებით მას, ვინაიდან ღრმად გვჯერა — თბილისის „დინამოს“ ესაჭიროება ასეთი კოლექტივი, ახალგაზრდათა გარკვეული საექსპერიმენტო ბაზა.

ეს წინადადება ჰაერში გამოკიდებული არ უნდა დარჩეს. მას სასწრაფოდ ესაჭიროება პრაქტიკული განხორციელება“.

ზ. მაისურაძე, ა. ხმალაძე, ვ. მიქელაძე, გ. მილდიანი, თ. ჟორჟოლიანი, ტ. ჩუბინიძე, ტ. სართანია, გ. დეისაძე, გ. შენგელია, ნ. ფრიდონიშვილი და სხვანი, სულ 60 კაცი.

# ევროპის ტურნირები

10 აპრილს გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების ნახევარფინალური შეხვედრები, რომლებიც ასე დამთავრდა:

## ჩემპიონთა თასი

„უიპეშტ დოჟა“ (ბუდაპეშტი) — „ბაიერნი“ (მიუნჰენი) 1:1.

ანგარიში 64-ე წუთზე გახსნა დასავლეთგერმანული გუნდის თავდამსხმელმა ტორსტენსონმა, ხოლო საპასუხო გოლი 81-ე წუთზე ფაზეკაშმა გაიტანა.

„სელტიკი“ (გლაზგო) — „ატლეტიკო“ (მადრიდი) 0:0.

შოტლანდიაში გამართული ეს მატჩი ესპანელ მოთამაშეთა ალვირახსნილობით გამოირჩეოდა. მსაჯმა მინდვრიდან გააძევა სტუმართა გუნდის სამი მოთამაშე — აიიალა, დიასი და კუიკე. გარდა ამისა, გაფრთხილება მიიღო შვიდმა ესპანელმა და ორმა შოტლანდიელმა ფეხბურთელმა. სამი გაძევებული ფეხბურთელი, სულ ცოტა, ერთი თამაშით მექანიკურად დისკვალიფიცირებულია და 24 აპრილის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

## თასების მფლობელთა თასი

„სპორტინგი“ (ლისაბონი) — „მაგდებურგი“ 1:1.

პორტუგალიის დედაქალაქში გამართული ეს შეხვედრა უაღრესად მწვავე ბრძოლით აღინიშნა და ერთგვარად დრამატულიც გამოდგა: ორივე ბურთი პორტუგალიელებმა გაიტანეს. 62-ე წუთზე „სპორტინგის“ მცველმა ბასტოსმა საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი, ხოლო 15 წუთის შემდეგ მანაკამ გდრ-ის გუნდის კარი აიღო და ანგარიშიც გათანაბრდა.

„მილანი“ — „ბორუსია“ (მენჰენგლადბახი) 2:0.

როგორც ცნობილია, „მილანი“ ერთობ უხეიროდ გამოდის იტალიის ჩემპიონატში, მაგრამ ამჯერად თავი მოიქაჩლა და შეძლო თავის მინდორზე გფრ-ის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის დამარცხება. გოლები გაიტანეს: მე-18 წუთზე — ბიგონძა, 53-ე წუთზე — კიარუჯიმ.

## უეფა-ს თასი

„ფეიენოორდი“ (როტერდამი) — „შტუტგარტი“ 2:1.

„ლოკომოტივი“ (ლაიპციგი) — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი) 1:2.

მასპინძელთა კარში ბურთები შესვენებამდე გაიტანეს ინგლისელებმა პიტერსმა და კოუტსმა. ერთადერთი საპასუხო გოლი მეორე ტაიმში გაიტანა ლიოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

HELSINKI 5.-20.4.1974

# პირველი წრის ფინიშზე

ჰელსინკი, 12 აპრილი. დღევანდელი ორი მატჩით დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი წრე. ჯერ პირველ მატჩზე გიამბობთ. ერთმანეთს შეხვდნენ ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გუნდები. ბოლო დროს ტრადიციად იქცა ის ამბავი, რომ ყოველ ჩემპიონატში ფინეთის ნაკრებმა რომელიმე ფავორიტი უნდა დაამარცხოს, ხოლო, რაც ხშირად ხდება, ის, მოგეხსენებათ, უკვე სენსაცია აღარ არის. დღეს ფინეთის ნაკრებმა კვლავ დაამტკიცა თავისი სიძლიერე ბრწყინვალე თამაშით და მეტოქე (რომელიც მანამდე ერთპიროვნული ლიდერი იყო) დაამარცხა ანგარიშით 5:2 (2:0, 2:0, 1:2).

პირველ პერიოდში მასპინძლებმა ოქსანენმა და ლეპიამ ორი შაიბა გაიტანეს მეტოქის კარში. მეორე პერიოდში იმავე ოქსანენმა და ტაპიონენმა (პერიოდის დამთავრებამდე 2 წამით ადრე) ოთხამდე გაზარდეს ანგარიში. მესამე პერიოდი ჩეხოსლოვაკიელებმა მოიგეს. მათ ორ შაიბას (ებერმანი — 2) მასპინძლებმა ერთი გოლით უპასუხეს.

მეორე მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საბჭოთა და შვედი ჰოკეისტები. შეხვედრა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მე-5 წუთზე შვედმა ბრასარმა ტრეტიაკის ძიერ მოგერიებულ შაიბას მიუსწრო და ანგარიშიც გაიხსნა. პირველი პერიოდის დამთავრებას 2 წუთი და 3 წამი აკლდა, როცა მატჩის ერთ-ერთმა არბიტრმა, პოლონელმა ვ. შჩეპეკმა ხელი იტკინა. თამაში შეწყდა, ძსაჯი მოედნიდან გაიყვანეს და გამოირკვა, რომ იგი ვეღარ განაგრძობდა შეხვედრას. გადაწყვიტეს დარჩენილი დრო მეორე პერიოდისთვის დაემატებინათ. ახლა მოიქცნენ და შჩეპეკის ნაცვლად მოედანზე ამერიკელი არბიტრი დ. გუინი გამოვიდა.

მატჩი გაგრძელდა. საბჭოთა ჰოკეისტები განუწყვეტლივ უტევდნენ, მაგრამ ვერა და ვერ გაიტანეს ესოდენ საჭირო გოლი: მეტოქეებს ხან აშკარად ბედი სწყალობდათ, ხან კი მათი მეკარე კ. აბრაჰამსონი თამაშობდა ბრწყინვალედ. როგორც იქნა, მე-13 წუთზე შაიბა პეტროვმა მიიღო და საშუალო მანძილიდან უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. 4 წუთის შემდეგ იაკუშევის შესანიშნავი რეიდი (მან შაიბით თითქმის მთელი მოედანი გადალახა და მეტოქის კართან ორი მცველი მოატყუა) გოლით დამთავრდა.

მეორე პერიოდში მეტი შაიბა აღარ ვასულა.

დასკვნითი პერიოდის მე-8 წუთზე ხარლამოვი 2 წუთით გააძევეს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელია: მიხაილოვმა და პეტროვმა სწორედ ამით ისარგებლეს (თითქმის ყველა შვიდი საბჭოთა გუნდის მოედანზე იყო) და ამ უკანასკნელმა მესამე, საბოლოო შაიბა გაიტანა მეტოქის კარში. 3:1 — ასე დამთავრდა შეხვედრა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 5 | 4 | 0 | 1 | 28:9 | 8 |
| სსრ კავშირი | 5 | 4 | 0 | 1 | 25:12 | 8 |
| ფინეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 18:17 | 6 |
| შვეცია | 5 | 1 | 1 | 3 | 16:15 | 3 |
| პოლონეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 13:23 | 3 |
| გ დ რ | 5 | 1 | 0 | 4 | 9:33 | 2 |

• • •

სნაიპერთა შეჯიბრებაში სისტემით „გოლი პლუს გადაცემა" ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი მიხაილოვი — 9 ქულა (5 შაიბა გაიტანა და 4 საგოლე გადაცემა გააკეთა). შემდეგ მოდიან: ნედომანსკი — 8 ქულა (7 პლუს 1), ჰლინკა — 8 (6 პლუს 2), მარტინეცი (სამივე — ჩეხოსლოვაკია) — 8 (4 პლუს 4), პეტროვი (სსრ კავშირი) — 8 (4 პლუს 4).

# გუშინ თბილისის ახალ ველოსტადიონზე



საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს სპორტკომიტეტის ამასწინანდელ ერთობლივ დადგენილებას რესპუბლიკაში სპორტული ბაზების მოწყობის ერთთვიურის ჩატარების შესახებ პირველნი დედაქალაქის ორგანიზაციები გამოეხმაურნენ, გუშინ კი საქართველოს და თბილისის ფიზკულტურის კომიტეტების, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და მწვრთნელთა სკოლის თანამშრომლები დედაქალაქის ახალ ველოსტადიონს ეწვივნენ და ტერიტორიის დასუფთავებისთვის მადლიანად იშრომეს, მერე მწვანე ნარგავებისთვის ათობით ორმო ამოიღეს.

ს უ რ ა თ ზ ე: ფიზკულტურული შაბათობის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ჭიდაობას რა უნდა!..

# ნაყოფიერი მუშაობის შედეგი

კუიბიშევში ჩატარდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს იუნიორ ძიუდოისტთა პირად-გუნდური პირველობა. ასპარეზობაში 10 გუნდი მონაწილეობდა. ყველაზე კარგ შედეგს მიაღწიეს საქართველოს წარმომადგენლებმა, რომლებიც 81 ქულით I ადგილზე გავიდნენ. II ადგილი ხვდა რუსეთის ფედერაციის ნაკრებს, რომელიც გამარჯვებულ კოლექტივს 29 ქულით ჩამორჩა. III საპრიზო ადგილი ლენინგრადელებმა დაიკავეს — 23 ქულა.

საქართველოს გუნდი უმთავრესად დაკომპლექტებული იყო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და გორის პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებით. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა მოჭიდავეებმა მიიღეს ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციებისა და ცენტრალური საბჭოს მიერ დაწესებული ყველა სპეციალური პრიზი (საუკეთესო ტექნიკისთვის, გამარჯვებისადმი სწრაფვისთვის, ყველაზე ხანმოკლე შეხვედრისთვის და სხვ.) ეს ფაქტიც იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენმა ძიუდოისტებმა, ისევე როგორც მათმა მწვრთნელებმა გ. პაპიტაშვილმა და მ. გოგოლაურმა, ნაყოფიერად იმუშავეს.

80 კგ წონითს კატეგორიაში ჩემპიონის სახელი მოიპოვა სპორტის ოსტატმა ჯ. კბილაშვილმა (უნივერსიტეტი). II ადგილი ხვდა მის თანაგუნდელს, გორელ სტუდენტს ე. მაზმიშვილს.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ გორის პედინსტიტუტის წარმომადგენლის, სპორტის ოსტატ თ. ხუბულურის გამოსვლა. ამ სპორტსმენმა ყველა შერკინება წმინდად მოიგო და I ადგილი დაისაკუთრა 93 კგ წონითს კატეგორიაში. აქ მეორე პრიზი უნივერსიტეტელ ბ. ოსიტაშვილს ერგო.

მძიმე წონაში ყველას აჯობა რ. ჭიკაიძემ (უნივერსიტეტი). II ადგილზე გავიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი ი. ძეგლიკაშვილი.

70 კგ წონითს კატეგორიაში II ადგილი დაიკავა ნ. გაგუნაშვილმა, ხოლო III — დ. კოდანოვმა (ორივე — უნივერსიტეტი).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ძიუდოისტი ჩარიცხულია ცენტრალური საბჭოს ნაკრების კანდიდატთა სიაში.

გ. ამირხანოვი.

# კვიცი გვარზე ხტის

„ლოკომოტივის" დარბაზში ჩატარდა თბილისის განათლების განყოფილების 1959-60 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. უკონკურსოდ გამოდიოდა დიღმის საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდი.

მისასალმებელია, რომ საასპარეზოდ თავი მოიყარა 200-ზე მეტმა მოჭიდავემ. მონაწილეთა ასეთი სიმრავლე მეტყველებს, რომ სპორტის ეს სახეობა პოპულარულია ქალაქის მოსწავლეთა შორის. ცხადია, „ლოკომოტივის" დარბაზი ასეთი დიდი შეჯიბრებისთვის პატარა გამოდგა.

გამოვლინდა ბევრი პერსპექტიული მოჭიდავე. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: ზ. რეხვიაშვილი, ნ. ბეკურაშვილი, გ. მარიამული, დ. მაისურაძე, ვ. პეტრუშენკო...

თავი გამოიჩინა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის გიორგი სხირტლაძის ვაჟმა კახამ. იგი, მართალია, II ადგილზე გავიდა, მაგრამ სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. კახა თბილისის მე-10 საშუალო სკოლის მოსწავლეა, გატაცებით ვარჯიშობს და, მწვრთნელთა აზრით, მოკლე ხანში გაითქვამს სახელს.

სამ წონაში თბილისელ მოჭიდავეებს I ადგილები „წაართვეს" უკონკურსოდ მოასპარეზე დიღმელმა მოსწავლეებმა ზ. ფირიაშვილმა, მ. მიქელაშვილმა და გ. მარიამულმა.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: ა. ოლქიევი (85-ე სკოლა), კ. სევასტოვი (მე-8 სკოლა), ა. პაპიაშვილი (მე-12 სკოლა), ვ. პეტრუშენკო (115-ე სკოლა), ო. ამზოევი (მე-8 სკოლა), მ. გოდიაშვილი (119-ე სკოლა), ნ. ადეიშვილი (მე-7 სკოლა), ზ. გაზაევი (მე-10 სკოლა), გ. ბარბაქაძე (მე-7 სკოლა), დ. მაისურაძე (150-ე სკოლა), დ. კულუმბეგაშვილი (140-ე სკოლა), ზ. რეხვიაშვილი (მე-60 სკოლა), თ. ყარყარაშვილი (145-ე სკოლა), ჯ. გავაშელი (147-ე სკოლა), თ. ბექიტაშვილი (77-ე სკოლა), ბ. როსტიაშვილი (74-ე სკოლა), ნ. ბეკურაშვილი (134-ე სკოლა).

ო. ჩხაიძე,
სპორტის ოსტატი.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### მხოლოდ ინგლისურად...

როცა ბარსელონაში ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ვარსკვლავთა ნაკრები გუნდების მატჩი ჩატარდა, შეჯიბრებაში 23 (!) ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. წინასწარ დაადგინეს, რომ ყოველგვარი საქმიანი საუბარი მხოლოდ ინგლისურ ენაზე იწარმოებდა.

ეს წესი მკაცრად იქნა დაცული. მატჩის არბიტრი, იტალიელი ანგოლეზე მინდორზეც და მის ფარგლებს გარეთაც მხოლოდ ინგლისურად ელაპარაკებოდა... თანამემამულე ფაკეტის.

# მომავალ წარმატებათა საწინდარი

იაპონიის მოსწავლეთა შორის მინი-კალათბურთის პოპულარობა დღითიდღე იზრდება. ქვეყნის კალათბურთის ასოციაციის ხელმძღვანელებს იმედი აქვთ, რომ ეს გატაცება ხელს შეუწყობს ნიჭიერ კალათბურთელთა ზრდას და ქვეყნის მთავარი კლუბები უახლოეს წლებში საიმედო ცვლას მიიღებენ.

მინი-კალათბურთი იაპონიაში ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ დაინერგა. იაპონიის ასოციაციის წესებით, ამ სახეობაში ჩაბმული არიან 12 წლამდე ასაკის ბავშვები. ტყორცნის ხაზი ფართან უფრო ახლოსაა, რგოლი დაბლაა დაწეული. ცოტა უფრო მსუბუქია ბურთი. მატჩში ოთხი ტაიმია და თითოეული 6 წუთს გრძელდება. სხვა მხრივ თამაშის წესები ისეთივეა, როგორც უფროსთა გუნდების შეჯიბრებაში.

მინი-კალათბურთში შეჯიბრებები იაპონიაში დიდხანს სკოლების ფარგლებს არ სცილდებოდა. ენთუზიასტ კალათბურთის მასწავლებელთა ინიციატივით მხოლოდ 1970 წელს ჩატარდა ქვეყნის პირველი ჩემპიონატი ამ სახეობაში. სარბიელზე გამოვიდა სულ რამდენიმე გუნდი. მაგრამ მერე, როგორც ჩანს, მოსწავლეები გაიტაცა ქვეყნის პირველობაში მონაწილეობის იდეამ: შარშან იაპონიის პირველობაში უკვე 48 გუნდი ჩაება, წლეულს კი მონაწილეთა რიცხვმა ბევრად იმატა.

მინი-კალათბურთის ასეთმა პოპულარობამ განათლების სამინისტრო იძულებული გახადა უფრო სერიოზულად შეეხედა ამ სახეობისთვის და იგი სასკოლო პროგრამაში შეეტანა.

ახლა იაპონიაში 600-ზე მეტი მინი-კალათბურთის გუნდია, გარდა სასკოლო კოლექტივებისა, ვინაიდან, განათლების სამინისტროს წესებით, მოსწავლეებს აკრძალული აქვთ სხვა პრეფექტურების გუნდებთან შეჯიბრებებში მონაწილეობა. იაპონიის კალათბურთის ასოციაციას დაგეგმილი აქვს შექმნას სპეციალური ორგანო, რომელიც კონტროლს გაუწევს კლუბებში მინი-კალათბურთელთა გუნდების მუშაობას, უზრუნველყოფს ხელმძღვანელებს საერთაშორისო და სხვა შეხვედრებს ამ სახეობაში.

ნ. ტებინი.
(საკდესის კორ.).
ტოკიო.

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

# სპასკი — კარპოვი

12 აპრილს ლენინგრადში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში სპასკისა და კარპოვს შორის I პარტია გათამაშდა. კარპოვმა თამაში მეფის პაიკით დაიწყო, სპასკიმ სიცილიური დაცვა გაითამაშა.

თეთრებმა უფრო თავისუფალი თამაშის საშუალება მიიღეს, მაგრამ შემდგომ, მე-18 სვლაზე, სპასკიმ ცენტრში აქტიური ბრძოლა გააჩაღა. დაფაზე მწვავე პოზიცია შეიქმნა. თავისი გაუფრთხილებელი 25-ე სვლით კარპოვმა მეტოქეს ორი გამსვლელი პაიკი მიალებინა ლაზიერის ფრთაზე.

პარტია გადაიდო კარპოვისთვის უარეს მდგომარეობაში.

**კარპოვი — სპასკი**

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 e6 6. კe2 კe7 7. 0—0 0—0 8. f4 მc6 9. კe3 e5 10. მb3 a5 11. a4 მb4 12. კf3 კe6 13. მფh1 ლc7 14. ეf2 ეfd8 15. ეd2 კc4 16. მb5 კ:b5 17. ab a4 18. მc1 d5 19. fe მ:e4 20. c3 მ:d2 21. კ:d2 ლ:e5 22. cb ლ:b2 23. მd3 ლd4 24. ეa3 ლb6 25. ლe2 ეe8 26. კ:d5 კ:b4 27. კ:f7+ მფ:f7 28. ლf3+ მფg8 29. კ:b4 ლ:b5 30. h3 ეad8 31. კd2 ლd5 32. ლf2 b5 33. კa5 ეd7 34. მf4 ეf7 35. ეf3 ლc4 36. კd2 b4 37. ლb6 b3 38. მფh2 ლc2 39. კc3 ლe4 40. ლd6 h6 41. კb2



აქ სპასკიმ ჩაიწერა 41-ე სვლა.

• •

# პეტროსიანი — კორჩნოი 0:1

იმავე დღეს ოდესაში პეტროსიანმა და კორჩნოიმ ასევე I პარტია გაითამაშეს. შეხვედრა კორჩნოიმ მოიგო.

მეტოქეებმა ინგლისური დაწყების რთული ვარიანტი აირჩიეს. თანდათან თეთრებმა პოზიციური უპირატესობა მიიღეს. შავებს აქტიური კონტრთამაში არ ჰქონდათ. პეტროსიანი იძულებული გახდა დაცვაში პასიური ყოფილიყო, თანაც კარგად ვერ თამაშობდა და დროც არ ჰყოფნიდა. 36-ე სვლაზე მას შამათი გამორჩა.

**კორჩნოი — პეტროსიანი**

ინგლისური დაწყება

1. c4 მf6 2. მc3 e6 3. მf3 b6 4. e4 კb7 5. d3 d6 6. g3 კe7 7. კg2 0—0 8. 0—0 c5 9. b3 მa6 10. ეe1 e5 11. კh3 მc7 12. მh4 g6 13. მg2 მe6 14. f4 ef 15. gf მh5 16. მd5 კf6 17. ეb1 კd4+ 18. მფh1 მc7 19. მde3 მg7 20. f5 მce8 21. ეf1 მf6 22. მc2 კe5 23. კg5 ლe8 24. მce3 მფh8 25. ლe1 მfh5 26. კg4 ეg8 27. f6 მe6 28. ლh4 მ:g5 29. ლ:g5 კd4 30. კ:h5 gh 31. ლ:h5 ეg6 32. მf5 ლe5 33. ეf3 ე:f6 34. ეh3 h6 35. ლg5 ეe8 36. ლg7X.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04557